

საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია



2020 წელი

14 მარტი, 2020 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19)

დღის წესრიგი

10:00 - 11:00 სთ. - მოსამართლეთა რეგისტრაცია

1. 11:00 - 11:15 სთ.

სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში *(საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო).*

2. 11:15 - 11:30 სთ.

„საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ პროექტის დამტკიცების თაობაზე
(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით).

3. 11:30 – 11:45 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება, კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს *(საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ 1 (ერთი) წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელსაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლება აქვს საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა).*

4. 11:45 – 12:00 სთ.

ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).*

5. 12:00 - 13:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) მოსამართლე წევრის არჩევა. I ტური
(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით).

6. 13:00 – 14:00 სთ - სადილი

7. 14:00 – 15:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) მოსამართლე წევრის არჩევა. II

ტური (საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები).

შენიშვნა: თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ 1 (ერთი) წევრის თანამდებობაზე, რომელსაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლება აქვს საბჭოს წევრს თანამდებობასთან ერთად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, არ იქნება დასახელებული კანდიდატად, ან თუ კენჭისყრის შედეგად საჭირო რაოდენობის ხმები ვერ მიიღო რომელიმე კანდიდატმა, ვაკანტურ თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს მოსამართლე, რომელსაც არ უკავია ასეთი თანამდებობა. შესაბამისად ტარდება განმეორებითი არჩევნები: I ტური - ფარული კენჭისყრით, სდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. II ტური - საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.